არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

თანამონაწილეობისა და ჩართულობის ცენტრი -სიპისი

Centre for Participation and Collaboration - CPC

წესდება

თბილისი
2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **თანამონაწილეობისა და ჩართულობის ცენტრი -სიპისი** (შემდგომში - „სიპისი“ , ინგლისური თარგმანი - **Centre for Participation and Collaboration – CPC** არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1. ცენტრი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, აქვს ანგარიშსწორების ანგარიში, მათ შორის სავალუტო ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. აქვს ბეჭედი, ემბლემა და სხვა რეკვიზიტები.
2. ცენტრის საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია.
3. ცენტრის იურიდიული მისამართია: ქ. ოზურგეთი, ლომთათიძის ქ. #4

მუხლი 2. ორგანიზაციის მიზანი

ცენტრის მიზნებია:

1. თანამონაწილეობისა და ჩართულობის ხელშეწყობა;
2. საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლება;
3. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ხელშეწყობა;
3. არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის მონიტორინგი;
4. სხვადასხვა თემატური მედიასემინარების მედიაკამპანიის, მედიაპროექტების დაგეგმვა/ორგანიზება;
5. ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების რეალიზების ხელშეწყობა:

6.ქალთა დასაქმების ხელშეწყობა, ადვოკატირება;

6. ეთნიკურ უმცირესობათა ინიციატივების მხარდაჭერა, ადვოკატირება, მათი ჩართულობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ საქმიანობაში;
7. ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდებისა და სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა
8. შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოების პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება, მათი დასაქმების ხელშეწყობა, ადვოკატირება; სოციალური საწარმოების შექმნის მხარდაჭერა;
10. მიზნობრივი ჯგუფების დახმარების ფონდის შექმნა;
11. გარემოსდაცვითი პრობლემების მონიტორინგი, პრევენციული ღონისძიებების პროპაგანდა; ეკომიგრანტების მხარდაჭერა;
12. სხვადახვა თემატური კვლევებისა და სოციალური გამოკითხვების ჩატარება და მონიტორინგი;
13. სოციალური, კულტურული, სამედიცინო, საგანმანათლებლო, პოლიტიკური ინიციატივების მხარდაჭერა და სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა.

მუხლი 3. საქმიანობის ფორმები

ამ წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ცენტრი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) აერთიანებს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და ინიციატივის მქონე ადამიანებს;

ბ) ეწევა საგანმანათლებლო, საკონსულტაციო, ჟურნალისტურ, საადვოტატო და სხვა მსგავს საქმიანობას;

გ) ავრცელებს საინფორმაციო, საგანმანათლებლო, პუბლიცისტურ, ვიდეო/აუდიო და სხვა სახის ლიტერატურას;

ე) ხელს უწყობს სამოქალაქო ინიციატივის გამოვლენას, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების ჩაბმას მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

ვ) ახორციელებს საზოგადოებრივი აზრის კვლევას;

ზ) გეგმავს და ახორციელებს მედიაპროექტებს, ტრენინგებს, სასწავლო-საგანმანათლებლო კურსებს, სხვადასხვა ღონისძიებებს (აქცია, მარათონი, ფლეშმობი და სხვ.);

თ) მოიძიებს ფინანსურ საშუალებებს ცენტრის მიზნების განსახორციელებლად;

ი) თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან. აგრეთვე ადგილობრივ და საზღვარგარეთის საქველმოქმედო ფონდებთან და დონორ ორგანიზაციებთან, ბიზნესკომპანიებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

კ) ნებისმიერ საქმიანობას, რაც დაკავშირებულია მისი მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებასთან და არ ეწინაღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 4. ცენტრის დამფუძნებელი

დამფუძნებლები:

1. ფიზიკური პირი ნანა თავდუმაძე საქართველოს მოქალაქე, პ/N33001020477 დაბადებული 24.05.1971.ელ ფოსტა: nanatavdumadze@gmail.com, მობ:599 983900. მისამართი: ქ. ოზურგეთი, ლომთათიძის ქ. #4
2. ფიზიკური პირი გიორგი კილაძე საქართველოს მოქალაქე, პირადი N01009013729, დაბ. 22.06.1966, მობ: 599408006, მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N47, ბინა 28;
3. ფიზიკური პირი გიორგი ლანჩავა საქართველოს მოქალაქე, პირადი N6001134521; დაბადებული 06.10.1992 მისამართი: გუდიაშვილის N12, ტელ: 593786638

მუხლი 5. ცენტრის წევრობა/საპატიო წევრობა

1. ცენტრი არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს წევრები. მას შეიძლება ასევე ყავდეს საპატიო წევრები.

2. ცენტრის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც იზიარებს ორგანიზაციის პრინციპებსა და მიმართულებებს.

3. ცენტრის წევრად მიღება და წევრობიდან გასვლა ხდება მსურველის წერილობითი ან ზეპირი განცხადების საფუძველზე, ცენტრის წევრად მიღება ხდება დირექტორის მიერ.

4. საპატიო წევრად მიღება ხდება ორგანიზაციის დირექტორის მიერ. საპატიო წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი. სარგებლობს საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციით, იზიარებს ცენტრის პრინციპებს და მხარს უჭერს ცენტრის საქმიანობას, აქვს სურვილი, ლობირება გაუწიოს ორგანიზაციას, იზრუნოს მასზე დადებითი რეპუტაციის იმიჯის შესაქმნელად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ცენტრის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

5. ცენტრის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) მისი ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში - სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან;

გ) გარდაცვალებისას;

დ) მისი საქმიანობა, შეხედულებები და პრინციპები ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ცენტრის საპატიო წევრობის გაუქმება ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) პირი გარდაიცვალა;

ბ) პირმა წერილობით თქვა უარი საპატიო წევრობაზე;

გ) პირი მოქმედებს ორგანიზაციის წინააღმდეგ ან მისი მოქმედება ეწინააღმდეგება წესდებით გათვალისწინებულ პრინციპებს.

7. ცენტრის წევრის გარიცხვა ხდება, თუ დადასტურდება, რომ:

ა) პირი ორგანიზაციის სახელს/ქონებას იყენებს საკუთარი მიზნებისთვის;

ბ) ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად მოქმედებს ორგანიზაციის სახელით;

გ) უხეშად და სისტემატურად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

დ) ხელს უშლის ცენტრის საქმიანობას ან ავრცელებს ცენტრის რეპუტაციის შემლახველ ცრუ ინფორმაციას;

ე) წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის დირექტორი;

ვ) გარიცხულ წევრს უფლება აქვს დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 6. დამფუძნებელთა/წევრთა უფლებები და მოვალეობები

1. ცენტრის წევრის უფლებებია:

ა) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად ცენტრის სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობა;

ბ) ორგანიზაციის მიერ გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;

გ) ცენტრის მიერ მომზადებულიი და გამოცემული ლიტერატურის გაცნობა;

დ) ცენტრის ბიუჯეტის, საგრანტო განაცხადების, პროგრამებისა და მის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციების გაცნობა;

ე) ცენტრის ქონებით სარგებლობა საწესდებო მიზნებისა და ცენტრის პროგრამების შესრულებისას.

ვ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და სხვა.

2. ცენტრის წევრის მოვალეობებია:

ა) ცენტრის წესდების დაცვა;

ბ) ცენტრის საქმიანი რეპუტაციის დაცვა;

გ) ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ყოველმხრივი ხელშეწყობა;

დ) დადგენილი საწევრო შენატანის გადახდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

3.საპატიო წევრი უფლებამოსილია:

ა) თავისი კომპეტენციის და შესაძლებლობების ფარგლებში აქტიური ლობირება გაუწიოს ცენტრის საქმიანობას;

ბ) დაინტერესებულ პირებისთვის ცენტრს საქმიანობის გაცნობა.

მუხლი 7. ცენტრის გამგეობა

1 ცენტრის გამგეობა არის მართვის უმაღლესი ორგანო.

2. გამგეობის პირველ შემადგენლობას 2 წლის ვადით ამტკიცებს დამფუძნებელი, ხოლო შემდგომს - დირექტორი.

3. გამგეობა შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან და მათი საქმიანობა არ ანაზღაურდება.

4. გამგეობის წევრებს ორგანიზაციის წევრებიდან 2 თვის განმავლობაში აირჩევენ დამფუძნებლები და ამტკიცებენ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

5. გამგეობის წევრობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს ორგანიზაციის წევრს.

6. გამგეობის წევრი ინიშნება 2 წლის ვადით.

7. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება გამგეობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

8. გამგეობა პირველ სხდომას მართავს დამტკიცებიდან ორი თვის განმავლობაში.

9. გამგეობა, თავისი უფლებამოსილების ვადით, საკუთარი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს.

10. გამგეობის თავმჯდომარე წარმართავს გამგეობის სხდომებს, შეიმუშავებს გამგეობის სხდომის დღის წესრიგს, ზედამხედველობს გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ახდენს გამგეობის წევრთა კოორდინირებას.

9. გამგეობის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ და მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ან დირექტორის ინიციატივით.

10. გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა უბრალო უმრავლესობა.

11. გამგეობის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ დირექტორის მიერ რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად განსხვავებული წესი არ არის დადგენილი.

12. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ცენტრის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განხილვა და რეკომენდაციების შემუშევება;

ბ) ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ანგარიშების მოსმენა;

გ) ცენტრის წლიური ბიუჯეტის, ფინანსური და აუდიტის ანგარიშების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;

დ) წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების ასევე ცენტრის მიზნების შეცვლის შესახებ დამფუძნებლებისთვის რეკომენდაციებისა და წინადადებების წარდგენა;

13. გამგეობა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სხდომის მდივანს, რომელიც ვალდებულია შეადგინოს სხდომის ოქმი და წარუდგინოს დამფუძნებლებს არაუგვიანეს სამი დღის ვადაში.

14. გამგეობის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) მისი ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში - სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ან ორგანიზაციის დირექტორის მიერ დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15. თუ გამგეობის წევრი არ ესწრება გამგეობის სხდომას ან სხვაგვარად აფერხებს მის საქმიანობას, გამგეობას უფლება აქვს დააყენოს უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მისი ამრჩევი ან დამნიშნავი ორგანოს/თანამდებობის პირის წინაშე.

16. გამგების წევრების არჩევამდე გამგეობის უფლება მოვალეობებს ახორციელებენ დამფუძნებლები.

17. გამგეობა ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად და არ განახორციელოს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგო რაიმე ქმედება.

მუხლი 8. ცენტრის დირექტორი

1. ცენტრის დირექტორს მინიჭებული აქვს აღმასრულებელ-განმკარგულებელი უფლებამოსილება. იგი წარმოადგენს ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

2. დირექტორს ირჩევს და ათავისუფლებს გამგეობა, გარდა ორგანიზაციის პირველი დირექტორისა, რომელსაც ნიშნავს დამფუძნებელი და ათავისუფლებს გამგეობა.

3. დირექტორის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს როგორც დამფუძნებელს, ასევე, გამგეობის წევრს.

4. დირექტორის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი დირექტორის არჩევამდე. დირექტორის არჩევა ხდება 2 წლის ვადით.

5. დირექტორი უფლებამოსილია მისთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით გამოსცეს ბრძანებები.

6. დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ცენტრში გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;

ბ) გამგეობის შემადგენლობის დამტკიცება;

გ) საწევრო შენატანების ოდენობისა და გადახდის პერიოდულობის დაწესება ცენტრის გამგეობასთან შეთანხმებით;

დ) წესდებით დადგენილი მიზნების მისაღწევად ორგანიზაციის საქმიანობის დემოკრატიულად, გამჭვირვალედ და ეფექტურად წარმართვა;

ე) ცენტრის ფინანსური სახსრებისა და სხვა აქტივების მართვა-განკარგვა და მათი წესდების შესაბამისად გამოყენების უზრუნველყოფა;

ვ) ცენტრის სახელით ყველა სახის ხელშეკრულების დადება;

ზ) უფლებამოსილ პირთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება;

თ) ცენტრის შიდა სახელმძღვანელოების/დებულებების და სხვა აქტების დამტკიცება;

ი) თანამშრომლებს სამუშაოზე მიღება და სამუშაოდან გათავისუფლება;

კ) ცენტრის ინტერესებიდან გამომდინარე, უცხო ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

ლ) საქართველოს კანონმდებლობითა და ორგანიზაცის აქტებით ხელმძღვანელისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;

მ) დირექტორის საქმიანობა ანაზღაურდება გრანტების, პროექტების და ცენტრის სხვა საქმიანობის დირექტორის ფუნქციების შესრულებისას.

ნ) ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებები;

7. დირექტორს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) მისი ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში - სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

8. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წესდებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის ფუნქციებს ასრულებს დირექტორის დავალებით დანიშნული უფლებამოსილი პირი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნულის შესახებ დირექტორი ვალდებულია აცნობოს დამფუძნებლებს.

9. დამფუძნებლების მიერ დანიშნული ცენტრის დირექტორის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტისას ახალ დირექტორს ნიშნავს დამფუძნებლებიხმათა უბრალო უმრავლესობით.

10. დირექტორის უფლებამოსილება ენიჭება მანანა კირჩხელს, პირადიN 61001032776. დაბადებული 07.10.1959 , მობ: 5 91 155340.

მისამართი: თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი

მუხლი 9. ცენტრის ქონება

ცენტრის ქონება იქმნება საწევროს შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობათა და სხვა წყაროებით, რომელიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლის 10. ცენტრის ბიუჯეტი

1. ცენტრს აქვს ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი.

2. ცენტრის დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებული უნდა იქნეს ცენტრის დირექტორის, გამგეობის წევრის და შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე თანამშრომლ(ებ)ის და სხვა პირთა ანაზღაურება. ყველა სხვა შემთხვევაში ცენტრთან შრომითი ურთიერთობა უსასყიდლოა და არ ანაზღაურდება.

მუხლი 11. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება გამგეობის გადაწყვეტილებით.

2. ცენტრის ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესს წარმართავს დირექტორი ან გამგეობის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი.

3. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს დირექტორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.